პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

დამატებითისპეციალობის (minor) ბაკალავრიატის პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	რუსეთისმცოდნეობა Russian Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	კვალიფიკაციას არ ანიჭებს
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	60 ECTS: • სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; • არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი	დალი კანდელაკი - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	„რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაშვება ხდება წინაპირობების გარეშე
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია რუსეთისმცოდნეობის დარგში სტუდენტს შესძინოს ფართო ცოდნა რუსეთის შესახებ, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს; სტუდენტები გაარკვიოს რუსეთის ისტორიის, ეკონომიკის, სამართლის, რუსული ლიტერატურის, კულტურის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, გეოგრაფიის საკითხებში, რათა ღრმა და სისტემური განათლების მიღების ინტერესი გაუჩნდეთ სწავლის შემდგომ საფეხურებზე, კერძოდ, „რუსეთისმცოდნეობის“ მაგისტრატურის და „ისტორიის“ (მიმართულება: რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორია) დოქტორანტურის პროგრამებზე. სტუდენტს უნდა ჩამოვუყალიბოთ ობიექტური, ჭეშმარიტად მეცნიერული და არა კონიუქტურული შეხედულება რუსეთზე, მათ შორის მის მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. პროგრამა გაამახვილებს ყურადღებას რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტზე, რომელიც ინტერესს იწვევს არა მხოლოდ სამეცნიერო კუთხით, არამედ იგი უაღრესად აქტუალურია სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისითაც
tUსწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება**

	• განსაზღვრავს რუსეთისმცოდნეობის სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებისა და კონცეფციების არსს და კრიტიკულად იაზრებს; **უნარი:** • კრებს და განმარტავს რუსეთისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემებს; იყენებს სტანდარტულ და ზოგიერთ გამორჩეულ მეთოდს და აანალიზებს რუსეთთან დაკავშირებულ განყენებულ მონაცემებსა და/ან სიტუაციებს, განიხილავს ზოგად საკითხებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს; • ამუშავებს რუსეთის შესახებ დოკუმენტებს და სამეცნიერო ლიტერატურას და ასრულებს რეფერატს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დახმარებით; • ამზადებს დეტალურ წერილობით/ზეპირ ანგარიშს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ; ზეპირად გადმოსცემს ინფორმაციას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე; • შემოქმედებითად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. **პასიხისმგებლობა და ავტონომიურობა:** • გეგმავს და ახორციელებს ამოცანებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • აცნობიერებს პროფესიულ, სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას და იცავს აკადემიური პატიოსნების, ეთიკის სტანდარტებს; • პატივს სცემს განსხვავებულ კონფესიებს, კულტურებს, დემოკრატიულ ფასეულობებს, აზრებს და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად „რუსეთისმცოდნეობის“ დამატებითი სპეციალობის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს: ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ. **ლექცია** - სწავლა-სწავლების დიდაქტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი, როგორც ძირითადი მოსაუბრე, აქტიური ან პასიური მსმენელის როლში მყოფ სტუდენტებს აცნობს შემეცნებით ინფორმაციას წინასწარ განსაზღვრული თემატიკის

	გარშემო. ლექცია ემსახურება სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემას. **ახსნა-განმარტება** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით და პასუხობს დასმულ კითხვებს. ლექციის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით ლექტორი უადვილებს სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას. **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - საკვლევ სფეროში არსებული უახლესი ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, შემოქმედებითად გააზრება და მის საფუძველზე თეორიული ჰიპოთეზების შემუშავება. **წერითი მუშაობის მეთოდი** - წერითი ფორმით კვლევის მონაცემების წარდგენა სხვადასხვა ტიპის აკადემიური ნაშრომის - არგუმენტირებული ესეს, ანალიტიკური რეფერატის ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის - სახით (ზეპირ პრეზენტაციასთან ერთად). **შემთხვევის ანალიზი (Case Study)** - საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების და რეგიონების რეალობიდან მსგავსი შემთხვევების კომპარატიული ანალიზი, საკუთარი შემთხვევის ინტერპრეტაცია და კრიტიკული შეფასება სხვა შემთხვევების კონტექსტში. **დისკუსია–დებატები** - დისკუსია-დებატების წარმართვა, საკუთარი არგუმენტების ნათლად ფორმულირების და დამაჯერებელი მხარდაჭერით გამყარების, აგრეთვე ოპონენტის არგუმენტების დასაბუთებულად უკუგდების საფუძველზე. **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - აკadემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტულის საკითხის შესახებ სტუდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის შეგროვებას, კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. **დემონსტრირების მეთოდი –** ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

	ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ელექტრონული სწავლება** - თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებზე დაფუძნებული სწავლის მართვის სისტემის, e-learning.tsu.ge-ს გამოყენებით სტუდენტებისთვის ელექტრონული კურსების, სასწავლო მასალების მიწოდება.
შეფასების სისტემა	სემესტრის განმავლობაში სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს - შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა)განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

	დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F - 0 ქულა. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). დასკვნითი გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა). შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის.
დასაქმების სფეროები	ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით დამატებითი სპეციალობის „რუსეთისმცოდნეობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნა, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ზოგადტრანსფერული უნარები და შეძენილი კომპეტენციები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების შრომით ბაზარზე დასაქმებას. შესაბამისად, კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს რეგიონმცოდნეობის, კონკრეტულად კი, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის პრობლემატიკის შესწავლით დაინტერესებულ სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. გარდა პრაქტიკული საქმიანობისა, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის საფეხურზე სხვადასხვა მიმართულებით: რუსეთისმცოდნეობა, აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, რეგიონული კვლევები, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერება და სხვ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სტუდენტი არ იხდის სწავლის საფასურს დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა ხორციელდება თსუ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ. პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიღწევები და

	სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტი განხორციელდება თსუ-ში. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი თსუ-ში:** თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სხვა შესაბამისი ფაკულტეტების რესურს–ცენტრები; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და სხვა შესაბამისი ფაკულტეტების ბიბლიოთეკები; თსუ-ს ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა N11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N1, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა http://www.sciencelib.ge/ თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი - https://e-learning.tsu.ge/ თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის და სხვა ფაკულტეტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები; სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საგნობრივი ბიბლიოთეკა (თსუ VIII კორპუსი, აუდ. N 230 - 231).
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „რუსეთისმცოდნეობის“დამატებითი სპეციალობის პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების ბიუჯეტიდან, რომლებიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. შესაბამისი ფაკულტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა: სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური

	სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სანქცია შეიძლება იყოს როგორც ნაშრომის ხელახლა მომზადება, ასევე სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი ქულის მიღება. რეფერატი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სტუდენტი რეფერატის ელექტრონულ ვერსიას ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე „რუსეთისმცოდნეობის" დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა 2014 - 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან ამოქმედდა. პროგრამა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, ის აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; აძლევს მას შესაძლებლობას შეიძინოს ფართო ცოდნა, რომელიც მას ძირითად სპეცილობასთან ერთად შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს. პროგრამა შედგება თსუ-ს ბაკალავრიატის სხვადასხვა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან. ეს უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის რუსეთისმცოდნეობის სფეროდან აუცილებელი, მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას. პროგრამის დამატებით სპეციალობად არჩევა შეეძლება თსუ-ს ყველა ფაკულტეტის სტუდენტს, გარდა რეგულირებადი სპეციალობებისა (ცალკეული საგნები შეუძლიათ გაიარონ არჩევით კურსებისათვის მინიჭებული კრედიტების ფარგლებში).